

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებების მიღების მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი

კომენტარის წარმდგენი სუბიექტი	კომენტარი („საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით).	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
შპს „მაგთიკომი“ (წერილის კომისიაში რეგისტრაცია ს № 25- 6/875, თარიღი: 04.03.2025)	კომისიის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია თუ მისი მონაწილე პირების ჯამური ერთობლივი შემოსავალი, საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს.	მარეგულირებელ წესებში განხორციელებული ცვლილება, რომელიც შეეხება ერთობლივ შემოსავალს დაკავშირებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან (იხ. კანონის ცვლილება N3754-XIIIმს-Xმპ, 29.11.2023). ცვლილებამდე, კანონში იყო „წლიური ბრუნვა“, რომელიც შეიცვალა „ერთობლივი შემოსავლით“. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამავე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამ სპეციალურ კანონს ასევე ადასრულებს მარეგულირებელი ორგანო. ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი კი ითვალისწინებს იმ ნორმების ჩამონათვალს, რომელიც ვრცელდება კომისიაზე. ამავე პუნქტში დაკონკრეტებულია

	დადგენილების 47-ე მუხლის ახალი რედაქციით განიმარტება ერთობლივი შემოსავლის გამოთვლის პირობები, მაგრამ დადგენილებით არ არის განმარტებული რა იგულისხმება საკუთრივ „ერთობლივ შემოსავალში“. აღნიშნული ტერმინი ასევე გამოყენებული დადგენილების სხვა მუხლებშიც (მაგ. 32.2, 46, 54 მუხლები). შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ დადგენილების დებულებების განჭვრეტადობის თვალსაზრისით და ორაზროვნების გამოსარიცხად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე განიმარტოს ტერმინი „ერთობლივი შემოსავალი“.	კანონის ის ნორმები, რომელიც სავალდებულოდ არის აღსასრულებელი კომისიის მიერ, მათ შორის არის ჯარიმის მუხლი (მუხლი 33) და კონცენტრაციის მარეგულირებელი ნორმები. ამდენად, მარეგულირებელი წესებიც ამ სპეციალური კანონიდან გამომდინარე ითვალისწინებდა ტერმინს „წლიური ბრუნვა“ და მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ეთითება წესებში „ერთობლივი შემოსავალი“. რაც შეეხება ტერმინის განმარტებას - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, შემუშავებულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ასევე, ითვალისწინებს „ერთობლივი შემოსავლის“ განმარტებას. კერძოდ, კანონპროექტის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლს (ტერმინთა განმარტება) დაემატება ტერმინი „ერთობლივი შემოსავალი - ეკონომიკური აგენტის მიერ ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი დღგ-ს გამოკლებით“. თავის მხრივ, კანონის მე-3 მუხლი შედის იმ მუხლების ჩამონათვალში, რომელიც სავალდებულოდ აღსასრულებელია კომისიის მიერ. ამდენად, კანონპროექტის მიღების შემდეგ, ეს განმარტებაც უნდა გამოიყენოს კომისიამ და აღარ არის მიზანშეწონილი რომ დამატებითი განმარტება იყოს გაკეთებული თუ რა არის „ერთობლივი შემოსავალი“ მარეგულირებელ წესებში. ამ ეტაპისთვის, კანონპროექტი გაგზავნილია საქართველოს პარლამენტში, თუმცა, ჯერ არ არის დაინიციირებული.
--	--	---

კახი ბექაური



თავმჯდომარე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ივანე მახარაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია